

პრესრელიზი

საქართველოს დღეები სან დიეგოში „ჯი-აი-ჯი“ ჯგუფის მონაწილეობით

24 აპრილს ამერიკის შეერთებულ შტატებში- სან დიეგოს უნივერსიტეტში საქართველოს დღეები დაიწყო. ღონისძიებაში ქართულ მხარეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო წარმოადგენს. მონაწიელთა შორის ძირითადად საქართველოში უნივერსიტეტის პარტნიორებიც არიან ჩართულები, მათ შორის „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი.“ რომელმაც ცოტა ხნის წინ სან დიეგოს უნივერსიტეტთან თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი გააფორმა , რომელიც საქართველოში გრძელვადიან სასწავლო- საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას, გაცვლით პროგრამებს გულისხმობს.

„ჯი-აი-ჯი“ ჯგუფს ღონისძიებაზე საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს წევრი, კომპანიის არა - აღმასრულებელი დირექტორი გელა ბეჟუაშვილი წარმოადგენს.

კომპანია „ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას.

